სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამის ანოტაცია

I. ზოგადი ინფორმაცია

<u>პროგრამის სახელწოდება</u>: მენეჯმენტი, სასერტიფიკატო კურსი

<u>პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებისა და საათების რაოდენობის მითითებით:</u> 10 კრედიტი (250 საათი, მათ შორის: 90 საათი საკონტაქტო, 160 საათი დამოუკიდებელი)

<u>პროგრამის ხანგრძლივობა</u>: 30 დღე (დღეში 3 საათი) ან 15 დღე (დღეში 6 საათი), სულ 90 საათი (60 საათი - ლექცია, 30 საათი-პრაქტიკუმი და სემინარი)

<u>პროგრამის განხორციელების ადგილი</u>: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

<u>პროგრამაში მონაწილეთა რაოდენობა</u>: არა უმეტეს 20 მონაწილისა

<u>პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები</u>: ლექციებს წაიკითხავენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და ადმინისტრირების მიმართულების კვალიფიციური ლექტორები (იხ. დანართი):

- დავით ნარმანია, ასოცირებული პროფესორი
- ეკა ჩოხელი, ასოცირებული პროფესორი
- ნუგზარ პაიჭაძე, ასოცირებული პროფესორი
- გელა გრიგოლაშვილი, ასოცირებული პროფესორი
- ნინო ფარესაშვილი, ასისტ. პროფესორი
- ეკატერინე გულუა, ასისტ. პროფესორი

მოწვეული:

- გიული ქეშელაშვილი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

<u>პროგრამის ხელმძღვანელები</u>: ასოც. პროფესორები დავით ნარმანია და ეკა ჩოხელი

<u>პროგრამაში ჩართვის წინაპირობა და პროგრამის სამიზნე ჯგუფი</u>: უმაღლესი და პროფესიული განათლების მქონე ბიზნესის განხორციელებითა და მართვით დაინტერესებული ადამიანები და/ან კომპანიების მმართველობითი საქმიანობით დაკავებული მსმენელები.

<u>პროგრამის შემუშავების თარიღი</u>: 17.01.2011

II. პროგრამის შინაარსი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

<u>პროგრამის მიზნები და ამოცანები</u>: სასწავლო პროგრამა მიზნად ისახავს ეფექტური მმართველობითი საქმიანობის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლას, მენეჯმენტში თანამედროვე კონცეფციების, მიდგომების (სისტემური, სიტუაციური, პროცესული), პრინციპებისა და მეთოდების შესწავლის საფუძველზე მენეჯერული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. აღნიშნული მიზნების მიღწევისათვის აუცილებელია შემდეგი ამოცანების განხორციელება:

- გლობალურ გარემოში მართვის თანამედროვე მიდგომების, მეთოდებისა პრინციპების გაცნობა;

- მმართველობითი პროცესის ფუნქციების შესწავლა;
- ხელმძღვანელობის სტილისა და ლიდერობის შესწავლა;
- მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებისა და რეალიზაციის უნარ–ჩვევების განვითარება;
- სტრატეგიული მენეჯმენტის ძირითადი ასპექტების გაცნობა;
- ოპერაციათა მენეჯმენტის სისტემების ფუნქციონირების შესწავლა;
- პროექტული მენეჯმენტის თანამედროვე ტენდენციების შესწავლა;
- რისკების მართვის მეთოდების გაცნობა.

<u>პროგრამის (მოსალოდნელი) შედეგები</u>. კურსის გავლის შედეგად მსმენელები შეიძენენ მმართველობითი საქმიანობის განხორციელების უნარ–ჩვევებს, გაეცნობიან მენეჯმენტში თანამედროვე მიდგომებს და წარმატებული მენეჯერების მმართველობით პრინციპებს, რაც საბოლოოდ დაეხმარება მათ წარმატებით მართონ ორგანიზაცია და მიაღწიონ მაღალ შედეგებს. კონკრეტულად მსმენელები შეძლებენ:

დარგობრივი კომპეტენციების კუთხით:

- გარემოს შესაბამისად ორგანიზაციის (სისტემის) მიზნების შემუშავებას და მათი რეალიზაციის ტაქტიკის ფორმირებას;
- ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებას;
- ხელმძღვანელობის სტილის შერჩევასა და მენეჯერული უნარის გამოვლენას;
- ორგანიზაციული სისტემის დაპროექტებას;
- კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი სტრატეგიების ფორმირებას, შერჩევასა და რეალიზაციას;
- მენეჯმენტის ოპერაციული სისტემის დაგეგმვას;
- ბიზნესპროექტების შემუშავებასა და მართვას;
- კრიზისის გამოვლენასა და ანტიკრიზისული მართვის სტრატეგიების შემუშავებას;
- რისკფაქტორების გამოვლენას და რისკების მართვის მოდელების შერჩევას;

ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციების კუთხით:

- უახლესი ინფორმაციის გადამუშავებას თანამედროვე მეთოდების გამოყენებით;
- ამოცანის დასმას, ანალიზსა და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბებას;
- ბიზნეს პროექტების ცალკეული კომპონენტების შემუშავებას;
- ჯგუფური გადაწყვეტილებების შემუშავებაში აქტიურ მონაწილეობას;
- ცოდნის ამაღლებას დამოუკიდებლად, ლიტერატურის გამოყენებით.

<u>პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</u>

სასწავლო დღეები და საკონტაქტო საათები		ძირითადი საკითხები	ლიტერატურა	ლექტორები
I - II	4 საათი	**ლექცია**: თემა - მენეჯმენტი: თეორიები, კონცეფციები და პრაქტიკა	**1. ხომერიკი თ.,** მენეჯმენტის საფუძვლები., თბ., 2008., გვ. 10-44;136–137 **2. Daft Richard L.**, New Era of Management., Vanderbilt University., Inc., 2010., p. 32-49 **3. Stephen P. Robbins, Mary Coulter,** Management. Pearson Education, Inc., 2007., p. 40-52	ეკა ჩოხელი
	2 საათი	**პრაქტიკუმი/სემინარი**: 1.შემთხვევის ანალიზი (Case study); ჯგუფური განხილვები, დისკუსია/ დებატები 2. ტესტირება		
III	2 საათი	**ლექცია:** თემა - მენეჯმენტის ფუნქცია: დაგეგმვა, ბიზნეს-გეგმის შედგენის ორგანიზაცია	**1. ხომერიკი თ.,** მენეჯმენტის საფუძვლები., თბ., 2008., გვ. 139–151 **2. Daft Richard L.**, New Era of Management., Vanderbilt University., Inc., 2010., p. 376-400; 504–526 **3. Stephen P. Robbins, Mary Coulter,** Management. Pearson Education, Inc., 2007.,p. 335–377	ეკა ჩოხელი
	1 საათი	**პრაქტიკუმი/სემინარი**: 1.შემთხვევის ანალიზი (Case study); ჯგუფური განხილვები, დისკუსია/ დებატები 2. ტესტირება		
IV	2 საათი	**ლექცია:** თემა - მენეჯმენტის ფუნქცია: ორგანიზაცია. ორგანიზაციული დაპროექტება, ორგანიზაციული სტრუქტურის შემუშავების ორგანიზაცია	**1. ხომერიკი თ.,** მენეჯმენტის საფუძვლები., თბ., 2008., გვ. 139–151 **2. Daft Richard L.**, New Era of Management., Vanderbilt University., Inc., 2010., p.158–210 **3. Stephen P. Robbins, Mary Coulter,** Management. Pearson Education, Inc., 2007.,p. 335–377;413-433	ეკა ჩოხელი
	1 საათი	**პრაქტიკუმი/სემინარი**: 1.შემთხვევის ანალიზი (Case study); ჯგუფური განხილვები, დისკუსია/ დებატები 2. ტესტირება		
V-VI	4 საათი	**ლექცია:** თემა - მენეჯმენტის ფუნქცია: მოტივაცია და კონტროლი	**1. ხომერიკი თ.,** მენეჯმენტის საფუძვლები., თბ., 2008., გვ. 168-185	ლექცია: ეკა ჩოხელი

	2 საათი	**პრაქტიკუმი/სემინარი**: 1.შემთხვევის ანალიზი (Case study); ჯგუფური განხილვები, დისკუსია/ დებატები 2. ტესტირება	**2. Daft Richard L.**, New Era of Management., Vanderbilt University., Inc., 2010., p. 504–526 **3. Stephen P. Robbins, Mary Coulter,** Management. Pearson Education, Inc., 2007.,p. 335–377;413-433	პრაქტიკუმი/სემინარი: ნინო ფარესაშვილი
VII - VIII	**4 საათი**	**ლექცია**: თემა - ორგანიზაციული ცვლილებები და ორგანიზაციული განვითარება, ორგანიზაციული კულტურა	**1. ხომერიკი თ.,** მენეჯმენტის საფუძვლები., თბ., 2008., გვ. 91-112; **2. Daft Richard L.**, New Era of Management., Vanderbilt University., Inc., 2010; p.75-85; 128-156;276–296;566–589 **3. Stephen P. Robbins, Mary Coulter,** Management. Pearson Education, Inc., 2007., p. 79-82;247–252;273–287	ლექცია: ეკა ჩოხელი
	2 საათი	**პრაქტიკუმი/სემინარი**: 1.შემთხვევის ანალიზი (Case study); ჯგუფური განხილვები, დისკუსია/ დებატები 2. ტესტირება		პრაქტიკუმი/სემინარი: ნინო ფარესაშვილი
IX	**2 საათი**	**ლექცია**: თემა - ხელმძღვანელობის სტილი	**1. ხომერიკი თ.,** მენეჯმენტის საფუძვლები., თბ., 2008., გვ. 113-130 **2. Daft Richard L.**, New Era of Management., Vanderbilt University., Inc., 2010.,p. 473-496 **3. Stephen P. Robbins, Mary Coulter,** Management. Pearson Education, Inc., 2007., p.385-401	ეკა ჩოხელი
	1 საათი	**პრაქტიკუმი/სემინარი**: 1.შემთხვევის ანალიზი (Case study); ჯგუფური განხილვები, დისკუსია/ დებატები 2. ტესტირება		
X	**2 საათი**	**ლექცია**: თემა - კომუნიკაცია და გადაწყვეტილების მიღება	**1. ხომერიკი თ.,** მენეჯმენტის საფუძვლები., თბ., 2008., გვ. 191-196 **2. Daft Richard L.**, New Era of Management., Vanderbilt University., Inc., p.2010; 212-231 **3. Stephen P. Robbins, Mary Coulter,** Management. Pearson Education, Inc., 2007.,p. 135-152; 328-347	ეკა ჩოხელი
	1 საათი	**პრაქტიკუმი/სემინარი**: 1.შემთხვევის ანალიზი (Case study); ჯგუფური განხილვები, დისკუსია/ დებატები 2. ტესტირება		
XI-XII	**4 საათი**	**ლექცია**: თემა - ლიდერული უნარ–ჩვევების განვითარება	**1. გულუა ე.** ლიდერობა, ლექციების კურსი, 2010 **2. Richard L Daft,** New Era of Management, ninth edition, 2009 Gary Yukl, **Leadership in Organizations**; 6th ed. 2006	ეკატერინე გულუა
	2 საათი	**პრაქტიკუმი/სემინარი**: 1.შემთხვევის ანალიზი (Case study); ჯგუფური განხილვები,		

		დისკუსია/ დებატები 2. ტესტირება		
XIII - XIV	4 საათი	**ლექცია**: თემა - სტრატეგიული მენეჯმენტი: სტრატეგიის შემუშავება	**1. ჩოხელი ე.,** სტრატეგიული მენეჯმენტი., თბ., 2009 **2. ტომპსონი ა.ა; სტრიკლენდი** ა.ჯ., სტრატეგიული მენეჯმენტი: კონცეფციები და სიტუაციები., თარგმანი., საქართველო, 2010 **3. Mason A. Carpenter, Wm. Gerard Sanders.,** Strategic Management., Pearson Education, Inc., 2007.	ეკა ჩოხელი
	2 საათი	**პრაქტიკუმი/სემინარი**: 1.შემთხვევის ანალიზი (Case study); ჯგუფური განხილვები, დისკუსია/ დებატები 2. ტესტირება		
XV-XVI	4 საათი	**ლექცია**: თემა - სტრატეგიული მენეჯმენტი: ბიზნესის კონკურენტული სტრატეგიები	**1. ჩოხელი ე.,** სტრატეგიული მენეჯმენტი., თბ., 2009 **2. ტომპსონი ა.ა; სტრიკლენდი** ა.ჯ., სტრატეგიული მენეჯმენტი: კონცეფციები და სიტუაციები., თარგმანი., საქართველო, 2010 **3. Mason A. Carpenter, Wm. Gerard Sanders.,** Strategic Management., Pearson Education, Inc., 2007.	ეკა ჩოხელი
	2 საათი	**პრაქტიკუმი/სემინარი**: 1.შემთხვევის ანალიზი (Case study); ჯგუფური განხილვები, დისკუსია/ დებატები 2. ტესტირება		
XVII-XVIII	4 საათი	**ლექცია**: თემა - სტრატეგიული მენეჯმენტი: სტრატეგიის დანერგვა, რეალიზაცია, შეფასება	**1. ჩოხელი ე.,** სტრატეგიული მენეჯმენტი., თბ., 2009 **2. ტომპსონი ა.ა; სტრიკლენდი** ა.ჯ., სტრატეგიული მენეჯმენტი: კონცეფციები და სიტუაციები., თარგმანი., საქართველო, 2010 **3. Mason A. Carpenter, Wm. Gerard Sanders.,** Strategic Management., Pearson Education, Inc., 2007.	ეკა ჩოხელი
	2 საათი	**პრაქტიკუმი/სემინარი**: 1.შემთხვევის ანალიზი (Case study); ჯგუფური განხილვები, დისკუსია/ დებატები 2. ტესტირება		
XIX-XX	4 საათი	**ლექცია**: თემა - ოპერაციათა მენეჯმენტი	**1. ჩოხელი ე.,** ოპერაციული და საწარმოო მენეჯმენტი., თბ., 2009. **2. Heizer J. , Render B.,** Operations Management. Pearson Education, Inc., 2007. **3. Ричард Б. Чейз, Ф. Роберт Джейкобз, Николас Дж. Аквилано**. Производственный и операци-онный менеджмент, 10-е издание: Пер. с англ. – М.: ООО «И. Д. Вильямс», 2008.	გელა გრიგოლაშვილი
	2 საათი	**პრაქტიკუმი/სემინარი**: 1.შემთხვევის ანალიზი (Case study); ჯგუფური განხილვები, დისკუსია/ დებატები 2. ტესტირება		

XXI - XXII	**4 საათი**	**ლექცია**: თემა - ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	**1. პაიჭაძე ნ., ჩოხელი ე., ფარესაშვილი ნ.,** ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, სახელმძღვანელო, თბილისი, 2011. **2. მაიკლ არმსტრონგი,** ადამიანური რესურსების მართვა; საგანმანათლებლო მთარგმნელობითი და საგამომცემლო ცენტრი, 2008წ. **3. Gary Dessler.,** Human Resource Management Practice, 12th edition, 2010	ნუგზარ პაიჭაძე
	2 საათი	**პრაქტიკუმი/სემინარი**: 1.შემთხვევის ანალიზი (Case study); ჯგუფური განხილვები, დისკუსია/ დებატები 2. ტესტირება		
XXIII - XXIV	**4 საათი**	**ლექცია**: თემა - პროექტების მართვა	**1. გ. ქეშელაშვილი, ნ. ფარესაშვილი.,** პროექტების მართვა., თბ., 2009	გიული ქეშელაშვილი
	2 საათი	**პრაქტიკუმი/სემინარი**: 1.შემთხვევის ანალიზი (Case study); ჯგუფური განხილვები, დისკუსია/ დებატები 2. ტესტირება		
XXV- XXVI	**4 საათი**	**ლექცია**: თემა - ანტიკრიზისული მენეჯმენტი	**2. William Crandall, John A. Parnell, John E. Spillan.**, Crisis Management in the New Strategy Landscape, SAGE, 2009	გიული ქეშელაშვილი
	2 საათი	**პრაქტიკუმი/სემინარი**: 1.შემთხვევის ანალიზი (Case study); ჯგუფური განხილვები, დისკუსია/ დებატები 2. ტესტირება		
XXVII - XXX	**8 საათი**	**ლექცია**: თემა - რისკების მართვა	**1. Michel Crouhy, Dan Galai, Robert Mark.**, The essentials of risk management.,USA.,2006 **2. Satyjut Das**, Risk Management., USA., 2006	დავით ნარმანია
	4 საათი	**პრაქტიკუმი/სემინარი**: 1.შემთხვევის ანალიზი (Case study); ჯგუფური განხილვები, დისკუსია/ დებატები 2. ტესტირება		
30 დღე	**90 საათი**			

აღნიშნული ლიტერატურის გარდა მსმენელებს საჭიროებისა და მათი სურვილის შემთხვევაში დაურიგდებათ ლექტორების მიერ ქართულ ენაზე მომზადებული სალექციო მასალები.

<u>მონაწილეთა შეფასების სისტემა</u>.

შეფასების კრიტერიუმები:

ლექციებზე და სემინარებზე დასწრება	5 ქულა
სემინარებში აქტიურობა	15 ქულა
შუალედური შემოწმება (კოლოქვიუმი)	30 ქულა
რეფერატი და ჯგუფური პრეზენტაცია	10 ქულა
ფინალური გამოცდა	40 ქულა
სულ	100

- **დასწრება - 5 ქულა**

მსმენელი ვალდებულია დაესწროს სემინარულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს:

1. 0 ქულა: არც ერთი დასწრება ლექცია-სემინარზე
2. 1 ქულა: 1-3 დასწრება ლექცია-სემინარზე
3. 2 ქულა: 4-6 დასწრება ლექცია-სემინარზე
4. 3 ქულა: 7-9 დასწრება ლექცია-სემინარზე
5. 4 ქულა: 10-12 დასწრება ლექცია-სემინარზე
6. 5 ქულა: 13-15 დასწრება ლექცია-სემინარზე

- **სემინარზე აქტიურობა - 15 ქულა**

სულ ტარდება 12 გამოკითხვა (ზეპირი ან წერითი სახით). მსმენელთა პასუხები ფასდება მათი (პასუხების) ხარისხის მიხედვით.

- **შუალედური შემოწმება - 30 ქულა**

შუალედური შემოწმება ტარდება წერითი ფორმით, გამოკითხვა მოიცავს 3 საკითხს, ერთი საკითხი ფასდება 10 ქულით:

9-10 ქულა: პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა.

7-8 ქულა: პასუხი სრულია, მაგარამ შეკვეცილი; ტერმინოლოგიურად გამართულია; საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა.

5-6 ქულა: პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგარამ აღნიშნება მცირეოდენი შეცდომები.

3-4 ქულა: პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა; აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა.

1-2 ქულა: პასუხი ნაკლოვანია; ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული, ან არ არის შესაბამისი; პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები.

0 ქულა: პასუხი საკითხს არ შეესაბამება

- **რეფერატის მომზადება - 10 ქულა**

მსმენელები ინდივიდუალურად ან ჯგუფურად (2-3 სტუდენტი) ირჩევენ თემებს და ამუშავებენ. ბოლო ლექციაზე ახდენენ მის პრეზენტაციას. რეფერატი ფასდება -10 ქულით:

1. 9-10 ქულა: პროექტის შინაარსობივი, ფორმალური მხარე სრულყოფილია და პრეზენტაციისას აუდიტორიასთან კონტაქტი მაღალია. საკითხი ზუსტად არის დასმული და გადმოცემულია ამომწურავად, ჩატარებულია ღრმა ანალიზი და გაკეთებულია არგუმენტირებული დასკვნები. მაღალია პროექტის ვიზუალური გაფორმება და სტუდენტი სრულად ამყარებს აუდიტორიასთან ურთიერთობას და ყველა კითხვაზე ავლენს საფუძვლიან ცოდნას.
2. 7-8 ქულა: პროექტის შინაარსობივი, ფორმალური მხარე სრულყოფილია და პრეზენტაციისას აუდიტორიასთან კონტაქტი მაღალია. საკითხი ზუსტად არის დასმული და გადმოცემულია ამომწურავად, ჩატარებულია ღრმა ანალიზი და გაკეთებულია არგუმენტირებული დასკვნები. მაღალია პროექტის ვიზუალური გაფორმება და სტუდენტი ამყარებს აუდიტორიასთან ურთიერთობას, მაგრამ ყველა კითხვაზე ვერ ავლენს საფუძვლიან ცოდნას.
3. 5-6 ქულა: პროექტის შინაარსობივი მხარე სრულყოფილია, ფორმალური მხარე არასრულყოფილი და პრეზენტაციისას აუდიტორიასთან კონტაქტი დაბალი. საკითხი ზუსტად არის დასმული, მაგრამ არ არის გადმოცემული ამომწურავად. სტუდენტს უჭირს აუდიტორიასთან ურთიერთობა, უმეტეს კითხვაზე ვერ ავლენს საფუძვლიან ცოდნას.
4. 3-4 ქულა: პროექტის შინაარსობივი, ფორმალური მხარე არასრულყოფილია და პრეზენტაციისას აუდიტორიასთან კონტაქტი დაბალია. საკითხი ზუსტად არის დასმული, მაგრამ არ არის გადმოცემული ამომწურავად. არასრულია პროექტის ვიზუალური გაფორმება, სტუდენტი ვერ ახდენს მასალის პრეზენტაციას და ავლენს არასაკმარისს ცოდნას.
5. 1-2 ქულა: პროექტის შინაარსობივი, ფორმალური მხარე არასრულყოფილია. გადმოცემულია, მხოლოდ ზოგიერთი საკითხი. ვერ ახდენს მასალის პრეზენტაციას.
6. 0 ქულა: პროექტი საერთოდ არაა წარმოდგენილი

- **ფინალური გამოცდა - 40 ქულა**

ფინალური გამოცდა, შუალედური გამიცდის მსგავსად ტარდება საკითხების მიხედვით, პასუხი უნდა გაეცეს 4 საკითხს; თითოეული 10 ქულით შეფასდება.

საუნივერსიტეტო დებულებით მაქსიმალური შეფასება **100** ქულას შეადგენს და მისი განაწილება შემდეგნაირად გამოიყურება:

0-40 სრულიად არადამაკმაყოფილებელი;
41-50 არადამაკმაყოფილებელი;
51-60 დამაკმაყოფილებელი;
61-70 საშუალო;
71-80 კარგი;
81-90 ძალიან კარგი;
91-100 ფრიადი.

<u>სერტიფიკატის მინიჭების მოთხოვნები</u>: მონაწილეს სერტიფიკატის მისაღებად სჭირდება საშუალოდ არა ნაკლებ 71 ქულის მოგროვება ყველა საკითხის გათვალისწინებით. 51-დან 71 ქულამდე მოგროვების შემთხვევებში მონაწილეების მიეცემათ კურსის მსმენელის დამადასტურებელი მოწმობა. უფრო ნაკლები ქულების მოგროვებისას კი არანაირი საბუთი არ გაიცემა.

<u>პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები</u>: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული მატერიალური რესურსები. კერძოდ: სალექციო აუდიტორია, კომპიუტერი და პროექტორი.

პროგრამის ხელმძღვანელები:
ასოც. პროფესორი დავით ნარმანია
ასოც. პროფესორი ეკა ჩოხელი